დამტკიცებულია:

საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის გამგეობის 2026 წლის 7 ივლისის სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილებით

ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის" წევრი აუდიტური ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორების საქმიანობის ხარისხის კონტროლის კომიტეტის დებულება

პრეამბულა

წინამდებარე დებულება შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, ფედერაციის წესდების, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISQM), პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

დებულების მიზანია განსაზღვროს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ წევრი აუდიტური ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორების საქმიანობის ხარისხის კონტროლის კომიტეტის სამართლებრივი სტატუსი, მისია, მიზნები, ფუნქციები, უფლებამოსილება, საქმიანობის ორგანიზების წესი, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება.

კომიტეტი ხელს უწყობს ფედერაციის წევრ აუდიტურ ფირმებსა და ინდივიდუალურ აუდიტორებში ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვას, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას, საერთაშორისო სტანდარტების ეფექტიან პრაქტიკულ გამოყენებას, ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებასა და საზოგადოების ნდობის განმტკიცებას აუდიტორული პროფესიის მიმართ.

კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება კანონიერების, დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობის, კონფიდენციალურობის, გამჭვირვალობის, პროფესიული პასუხისმგებლობის, თანამშრომლობისა და უწყვეტი განვითარების პრინციპებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. დებულების მიზანი

1.1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ (შემდგომში – **ფედერაცია**) წევრი აუდიტური ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორების საქმიანობის ხარისხის კონტროლის კომიტეტის (შემდგომში – **კომიტეტი**) სამართლებრივ სტატუსს, მიზანს, ამოცანებს, უფლებამოსილებას, ფუნქციებს, სტრუქტურას, საქმიანობის ორგანიზების წესს, პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას.

1.1.2. კომიტეტი წარმოადგენს ფედერაციის მუდმივმოქმედ პროფესიულ-საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც ხელს უწყობს ფედერაციის წევრების მიერ აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, პროფესიული ეთიკის დაცვას,

საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვასა და ხარისხის მართვის სისტემების განვითარებას.

1.1.3. კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება დამოუკიდებლობის, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობის, კონფიდენციალურობის, გამჭვირვალობის, პროფესიული პასუხისმგებლობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს.

მუხლი 2. კომიტეტის მისია

2.1. კომიტეტის მისიაა ფედერაციის წევრ აუდიტურ ფირმებსა და ინდივიდუალურ აუდიტორებში ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის მხარდაჭერა და აუდიტორული მომსახურების სანდოობისა და საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერება.

2.2. კომიტეტი საქმიანობას წარმართავს არა მხოლოდ ხარისხის კონტროლის, არამედ ხარისხის განვითარების, პრევენციის, კონსულტირების, პროფესიული მხარდაჭერისა და საუკეთესო ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის გავრცელების მიმართულებით.

მუხლი 3. კომიტეტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს:

ა) საქართველოს კონსტიტუციის;

ბ) საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;

გ) ფედერაციის წესდების;

დ) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სამართლებრივი აქტების;

ე) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS);

ვ) მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs);

ზ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA);

თ) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ISQM);

ი) პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (IESBA Code);

კ) ფედერაციის შიდა ნორმატიული აქტების;

ლ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის შესაბამისად.

მუხლი 4. კომიტეტის ძირითადი მიზნები

კომიტეტის ძირითადი მიზნებია:

ა) ფედერაციის წევრ აუდიტორულ ფირმებსა და ინდივიდუალურ აუდიტორებში ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემების დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) აუდიტორული საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მხარდაჭერა;

გ) ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა;

დ) პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ხელშეწყობა;

ე) დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვის ხელშეწყობა;

ვ) ხარისხთან დაკავშირებული რისკების ადრეული გამოვლენა და პრევენციული ღონისძიებების ინიცირება;

ზ) ხარისხის კონტროლის მეთოდოლოგიის სრულყოფა;

თ) ფედერაციის წევრების პროფესიული განვითარების მხარდაჭერა;

ი) ხარისხის კონტროლის პროცესის გამჭვირვალობის, ერთგვაროვნებისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

კ) ფედერაციის ავტორიტეტისა და აუდიტორული პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერება.

მუხლი 5. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი პრინციპები

5.1. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს შემდეგი ძირითადი პრინციპების საფუძველზე:

ა) კანონიერება – კომიტეტის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, ფედერაციის წესდებას, წინამდებარე დებულებასა და სხვა მოქმედ სამართლებრივ აქტებს.

ბ) დამოუკიდებლობა – კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს თავისუფლად, ყოველგვარი არასათანადო გავლენის, ზეწოლისა და ინტერესთა კონფლიქტის გარეშე.

გ) ობიექტურობა და მიუკერძოებლობა – ყველა საკითხი განიხილება სამართლიანობის, თანასწორობისა და პროფესიული მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

დ) პროფესიული კომპეტენტურობა – კომიტეტის წევრები საქმიანობას ახორციელებენ შესაბამისი ცოდნის, გამოცდილებისა და პროფესიული პასუხისმგებლობის საფუძველზე და მუდმივად ზრუნავენ საკუთარი კვალიფიკაციის განვითარებაზე.

ე) პროფესიული სკეპტიციზმი – ხარისხის შეფასების პროცესში კომიტეტი ეფუძნება კრიტიკულ ანალიზს, მტკიცებულებათა ობიექტურ შეფასებასა და პროფესიულ განსჯას.

ვ) რისკზე დაფუძნებული მიდგომა – კომიტეტი საქმიანობას წარმართავს ისეთი მიდგომით, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე გავლენის მქონე რისკების დროულ გამოვლენასა და პრევენციაზე.

ზ) კონფიდენციალურობა – კომიტეტის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან მათთვის ცნობილი პროფესიული, კომერციული და სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თ) გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება – კომიტეტი საქმიანობას წარმართავს გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულია ფედერაციის გამგეობის წინაშე.

ი) პროფესიული ეთიკა – კომიტეტის საქმიანობა ეფუძნება პროფესიული ეთიკის საერთაშორისო კოდექსით განსაზღვრულ ფუნდამენტურ პრინციპებს.

კ) უწყვეტი პროფესიული განვითარება – კომიტეტი ხელს უწყობს ხარისხის მართვის სისტემების, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის მუდმივ განვითარებას.

ლ) თანამშრომლობა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება – კომიტეტი თანამშრომლობს ფედერაციის სხვა კომიტეტებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო უწყებებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან ხარისხის მართვის სისტემების სრულყოფის მიზნით.

მუხლი 6. კომიტეტის ფუნქციები

6.1. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) შეიმუშავებს ხარისხის კონტროლის პოლიტიკას, მეთოდოლოგიასა და შიდა პროცედურებს, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკას;

ბ) მონაწილეობს ფედერაციის წევრი აუდიტური ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორების საქმიანობის ხარისხის კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში;

გ) შეიმუშავებს ხარისხის კონტროლის წლიურ და მრავალწლიან სამოქმედო გეგმებს;

დ) ამზადებს ხარისხის კონტროლის პროგრამებს, მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს, შეფასების ფორმებს, კითხვარებსა და სამუშაო ინსტრუმენტებს;

ე) მონაწილეობს ხარისხის მართვის სისტემების დანერგვისა და სრულყოფის პროცესში;

ვ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს ხარისხის მართვის სისტემების (ISQM) ეფექტიანი დანერგვისათვის;

ზ) ხელს უწყობს აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას;

თ) სწავლობს ხარისხის კონტროლის სფეროში საერთაშორისო გამოცდილებას და ამზადებს მისი დანერგვის წინადადებებს;

ი) შეიმუშავებს რეკომენდაციებს აუდიტორული საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით;

კ) უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის პროცესში ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას;

ლ) ამზადებს პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს, რეკომენდაციებსა და მეთოდოლოგიურ მასალებს;

მ) უზრუნველყოფს ხარისხის კონტროლის პროცესში რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენების ხელშეწყობას;

ნ) შეისწავლის ხარისხთან დაკავშირებულ სისტემურ პრობლემებს და ამზადებს მათი პრევენციის ღონისძიებებს;

ო) ამზადებს რეკომენდაციებს პროფესიული შეცდომებისა და ხარისხობრივი ხარვეზების შემცირების მიზნით;

პ) მონაწილეობს ხარისხის მართვის პროცესების ციფრული ტრანსფორმაციის ხელშეწყობაში;

ჟ) თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან, აკადემიურ დაწესებულებებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

რ) მონაწილეობს პროფესიული განვითარების, ტრენინგების, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზებაში;

ს) განიხილავს ხარისხის კონტროლის სფეროსთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენს წინადადებებს ფედერაციის გამგეობას;

ტ) ამზადებს კომიტეტის საქმიანობის წლიურ ანგარიშს;

უ) ახორციელებს ფედერაციის გამგეობის მიერ დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. კომიტეტის უფლებამოსილება

7.1. დაკისრებული ფუნქციების განხორციელების მიზნით კომიტეტი უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს ფედერაციის სტრუქტურული ერთეულებისაგან და წევრებისაგან თავისი საქმიანობისათვის აუცილებელი ინფორმაცია კანონმდებლობისა და ფედერაციის შიდა აქტების მოთხოვნათა დაცვით;

ბ) მოიწვიოს დარგის სპეციალისტები, ექსპერტები და კონსულტანტები;

გ) შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები;

დ) მოამზადოს დასკვნები, რეკომენდაციები და ექსპერტული მოსაზრებები;

ე) გამართოს სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და პროფესიული დისკუსიები;

ვ) ფედერაციის გამგეობას წარუდგინოს წინადადებები ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით;

ზ) მოითხოვოს კომიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვა გამგეობის სხდომაზე;

თ) ითანამშრომლოს საქართველოსა და უცხოეთის პროფესიულ, აკადემიურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელოს კანონმდებლობითა და ფედერაციის შიდა აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

კ) საჭიროების შემთხვევაში ინიციროს ხარისხის მართვის სფეროში ახალი მეთოდოლოგიური დოკუმენტების, სახელმძღვანელოებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი 8. კომიტეტის შემადგენლობა

8.1. კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, აღმასრულებელი მენეჯერისა და კომიტეტის წევრებისაგან.

8.2. კომიტეტის რაოდენობრივ და პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.

8.3. კომიტეტის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

- ფედერაციის წევრი აუდიტორები;
- ფედერაციის წევრი აუდიტური ფირმების წარმომადგენლები;
- აკადემიური სფეროს წარმომადგენლები;
- ხარისხის მართვის სპეციალისტები;
- მოწვეული ექსპერტები (სათათბირო ხმის უფლებით).

8.4. კომიტეტის წევრი უნდა გამოირჩეოდეს:

- მაღალი პროფესიული რეპუტაციით;
- პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით;
- დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით;
- ხარისხის მართვის სისტემების პრაქტიკული ცოდნით;
- აუდიტორული საქმიანობის გამოცდილებით.

8.5. კომიტეტის წევრი ვალდებულია თავი შეიკავოს ისეთი საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისაგან, რომლის მიმართაც არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

მუხლი 9. კომიტეტის თავმჯდომარე

9.1. კომიტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერაციის გამგეობა.

9.2. კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას და პასუხისმგებელია მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის;

ბ) განსაზღვრავს კომიტეტის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

გ) ამტკიცებს კომიტეტის სამუშაო დღის წესრიგის პროექტს;

დ) იწვევს და თავმჯდომარეობს კომიტეტის სხდომებს;

ე) ანაწილებს ფუნქციებს კომიტეტის წევრებს შორის;

ვ) აკონტროლებს კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

ზ) წარმოადგენს კომიტეტს ფედერაციის მართვის ორგანოებთან, სახელმწიფო უწყებებთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას;

თ) ფედერაციის გამგეობას წარუდგენს კომიტეტის საქმიანობის ანგარიშს;

ი) წარადგენს კომიტეტის განვითარების წინადადებებს;

კ) ინიცირებს დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნას;

ლ) ასრულებს ფედერაციის წესდებით, ამ დებულებითა და გამგეობის გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. აღმასრულებელი მენეჯერი

10.1. კომიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და კოორდინაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი.

10.2. აღმასრულებელი მენეჯერი:

ა) ორგანიზებას უწევს კომიტეტის მიმდინარე საქმიანობას;

ბ) ამზადებს კომიტეტის სხდომების დღის წესრიგის პროექტს;

გ) კოორდინაციას უწევს სხდომების ტექნიკურ და ორგანიზაციულ მომზადებას;

დ) აწარმოებს კომიტეტის სხდომების ოქმებსა და შესაბამის დოკუმენტაციას;

ე) წარმართავს კომიტეტის დოკუმენტბრუნვასა და არქივის წარმოებას;

ვ) ამზადებს კომიტეტის წლიური საქმიანობის ანგარიშის პროექტს;

ზ) კოორდინაციას უწევს კომიტეტის წევრთა საქმიანობასა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლას;

თ) უზრუნველყოფს კომიტეტისა და ფედერაციის სხვა კომიტეტებს შორის ეფექტიან თანამშრომლობასა და ინფორმაციის გაცვლას;

ი) მონიტორინგს უწევს კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დავალებების შესრულებას;

კ) ორგანიზებას უწევს სემინარების, სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და სხვა პროფესიული ღონისძიებების ჩატარებას;

ლ) ადმინისტრირებას უწევს კომიტეტის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვასა და ინფორმაციულ რესურსებს;

მ) ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარისა და ფედერაციის გამგეობის მიერ დაკისრებულ სხვა დავალებებს.

მუხლი 11. კომიტეტის წევრთა უფლებები და მოვალეობები

11.1. კომიტეტის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის საქმიანობაში;

ბ) წარადგინოს წინადადებები;

გ) მოითხოვოს მის კომპეტენციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება;

დ) მონაწილეობა მიიღოს სამუშაო ჯგუფებში;

ე) დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რომელიც აისახება სხდომის ოქმში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ღონისძიებებში.

11.2. კომიტეტის წევრი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;

ბ) დაიცვას ფედერაციის წესდება, ეთიკის ნორმები და წინამდებარე დებულება;

გ) დაიცვას კონფიდენციალურობა;

დ) თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი;

ე) მონაწილეობა მიიღოს კომიტეტის სხდომებსა და სამუშაოებში;

ვ) ხელი შეუწყოს ხარისხის მართვის სისტემების განვითარებას;

ზ) დაიცვას ფედერაციის საქმიანი რეპუტაცია.

მუხლი 12. კომიტეტის საქმიანობის ორგანიზება

12.1. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს წლიური სამუშაო გეგმის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.

12.2. კომიტეტის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

12.3. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოიწვიოს:

- კომიტეტის თავმჯდომარემ;
- ფედერაციის პრეზიდენტმა;
- ფედერაციის გამგეობამ;
- კომიტეტის წევრთა არანაკლებ ერთმა მესამედმა.

12.4. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

12.5. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

12.6. კომიტეტის ყველა სხდომა ფორმდება ოქმით.

12.7. კომიტეტის გადაწყვეტილებები, თუ ფედერაციის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 13. კომიტეტის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება

კომიტეტის საქმიანობის შეფასების ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს:

ა) ხარისხის კონტროლის პროგრამების შესრულების მაჩვენებელი;

ბ) განხორციელებული მონიტორინგებისა და შეფასებების რაოდენობა;

გ) გაცემული რეკომენდაციების შესრულების დონე;

დ) ხარისხის მართვის სისტემების გაუმჯობესების მაჩვენებლები;

ე) ჩატარებული ტრენინგების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების რაოდენობა;

ვ) კომიტეტის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების რაოდენობა;

ზ) ფედერაციის წევრთა კმაყოფილების მაჩვენებელი;

თ) საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის შედეგები;

ი) ფედერაციის გამგეობის მიერ დაკისრებული დავალებების შესრულების ხარისხი;

კ) კომიტეტის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების დონე.

ლ) კომიტეტის მიერ ინიცირებული ხარისხის გაუმჯობესების პროექტების განხორციელების შედეგები.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.

14.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.

14.3. თუ დებულებით დაურეგულირებელი საკითხი წარმოიშობა, გამოიყენება ფედერაციის წესდება და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა.

14.4. კომიტეტი საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო პროფესიული სტანდარტებისა და ფედერაციის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

14.5. დებულება ძალაში შედის ფედერაციის გამგეობის მიერ მისი დამტკიცების დღიდან.